ქირავნობის ხელშეკრულება

წინამდებარე ქირავნობის ხელშეკრულება იდება 2009 წლის 15 ივნისი შემდეგ მხარეებს შორის:

გამქირავებლის დეტალური მონაცემები აღნიშნულია ამ ხელშეკრულების დანართის პირველ ნაწილში.

(გამქირავებელი)

და

შპს "ჯეოსელი" (დამქირავებელი)

იურიდიული მისამართი: გოთუას ქ. 3 მტკვრის მარჯვენა სანაპირო, თბილისი, საქართველო

იურიდიული წარმომადგენელი: ოსმან თურანი
თანამდებობა: გენერალური დირექტორი
ტელეფონი: + 995 32 77 01 00
ფაქსი: + 995 32 77 01 06
ბანკი: ს/ს "ვი-თი-ბი" ბანკი ჯორჯია ცენტრალური
ანგარიშის ნომერი: 444467944

ხელშეკრულება იდება შემდეგზე:
გამქირავებელი თანახმაა დამქირავებელს მიაქირაოს ქონება, (შემდგომში ქონება,) რომელიც აღწერილია ამ ხელშეკრულების დანართის მეორე ნაწილში, ხოლო დამქირავებელი თანახმაა მიიღოს იგი თავის სარგებლობაში დანართის მესამე ნაწილში აღნიშნული მიზნებისათვის (შემდგომში მიზნები), ამ ხელშეკრულების პირობების თანახმად.

მუხლი 1. ქონება

დამქირავებელი თანახმაა ქირით მიიღოს ქონება, რომელიც აღწერილია ამ ხელშეკრულების დანართის მეორე ნაწილში.

მუხლი 2. ხელშეკრულების ძალაში შესვლის პირობები

(1) ეს ხელშეკრულება ძალაში შედის შემდეგ მოთხოვნათა შესრულების შემდეგ:

(ა) გამქირავებელი წარუდგენს დამქირავებელს დოკუმენტებს, რომლებითაც დასტურდება, რომ გამქირავებელი უფლებამოსილია გააქირაოს ქონება.

(2) წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც (ა) ამ მუხლის ყველა პირობა დაკმაყოფილებული იქნება და როდესაც დამქირავებელი ამის თაობაზე შეატყობინებს გამქირავებელს ან (ბ) დამქირავებელი წერილობით განაცხადებს უარს ამ მუხლით გათვალისწინებულ უფლებაზე.

მუხლი 3. ქირა

დამქირავებელი თანახმაა გადაუხადოს გამქირავებელს ქირა, რომელიც მოცემულია დანართის 5 ნაწილში (ქირა) და არ შეიცავს დღგ_ს. ქირავნობის საფასური გადაიხდება თვიურად, ყოველი თვის დასაწყისში გამქირავებლის საბანკო ანგარიშზე, რომელიც მოყვანილია დანართის პირველ ნაწილში. გადახდა მოხდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 4. დამქირავებლის მოვალეობანი

დამქირავებელი ვალდებულია:

დაიცვას ამ ხელშეკრულების ყველა პირობა.

მუხლი 5. გამქირავებლის მოვალეობანი

გამქირავებელი თანახმაა რომ დამქირავებელს გადასცეს ქონებით კანონიერი სარგებლობის უფლება.

მუხლი 6. გადასახადები

დამქირავებელი ქონების გამოყენების პერიოდში გადაიხდის ელექტროენერგიის გადასახადს ელექტრომრიცხველის ჩვენების მიხედვით.

მუხლი 7. ქონების გამოყენება და ექსპლუატაცია

დამქირავებელი არაა პასუხისმგებელი ქონების ცვეთასა და დაზიანებაზე, რაც გამოწვეულია ქონების ჩვეულებრივი გამოყენებით, მიზნების შესაბამისად.

მუხლი 8. ხელშეკრულების გაუქმება

წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს ვადაზე ადრე შემდეგ შემთხვევებში:

(ა) გამქირავებლის მიერ:

(1) თუ დამქირავებელი არ გადაიხდის ერთი თვის ქირას;
(2) თუ დამქირავებელი ვერ ასრულებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ამ შემთხვევაში, გამქირავებელი წერილობით ატყობინებს დამქირავებელს ხელშეკრულების გაუქმების შესახებ 15 დღით ადრე. დამქირავებელი უფლებამოსილია ამ 15 დღის ვადაში შეასრულოს აღნიშნული ვალდებულება.

(ბ) დამქირავებლის მიერ:

(1) თუ გამქირავებელი ვერ ასრულებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ასეთ შემთხვევაში, დამქირავებელი წერილობით ატყობინებს გამქირავებელის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ 45 დღით ადრე. გამქირავებელი უფლებამოსილია ამ 45 დღის ვადაში შეასრულოს აღნიშნული ვალდებულება.
(2) თუ გამქირავებელი არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების მე_10 მუხლის მოთხოვნებს.
(3) ცალმხრივად, მაგრამ ამის შესახებ დამქირავებელს ატყობინებს 60 დღით ადრე.

(გ) ორივე მხარის მიერ:

(1) ურთიერთშეთანხმების გზით.
(2) თუ რომელიმე მხარე გამოცხადდება გაკოტრებულად.

მუხლი 9. მხარეთა გარანტიები

(1) დამქირავებელი წარუდგენს და უზრუნველყოფს გამქირავებელის შემდეგით:

(ა) რომ, დამქირავებელი უფლებამოსილია დადოს ქირავნობის ხელშეკრულება და განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობანი.
(ბ) ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი გამოყენება არ ეწინააღმდეგება:
(1) დამქირავებლის წესდებას ან (2) რომელიმე სხვა ხელშეკრულებას თუ დოკუმენტს, რომელშიც დამქირავებელი წარმოადგენს ერთ_ერთ მხარეს ან რაიმე კავშირშია მასთან.

(1) გამქირავებელი წარუდგენს და უზრუნველყოფს დამქირავებულის შემდეგით:

(ა) რომ, გამქირავებლის აქვს უფლება გააფორმოს საიჯარო ხელშეკრულება და განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობანი. გამქირავებელი უფლებამოსილია ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას.
(ბ) რომ, ყველა ოფიციალური თუ არაოფიციალური დოკუმენტი, რომელიც საჭიროებას წარმოადგენს ხელშეკრულების გაფორმებისას, გამქირავებლის მიერ მოპოვებულია და მათ გააჩნიათ კანონიერი ძალა.
(გ) ამ ხელშეკრულების დადება და გამოყენება არ ეწინააღმდეგება (1) კანონს ან (2) გამქირავებლის წესდებას, (3) რომელიმე სხვა ხელშეკრულებას რომელშიც გამქირავებელი წარმოადგენს ერთ_ერთ მხარეს ან რაიმე კავშირშია მასთან.

მუხლი 10. ხელშეკრულების ვადის გაგრძელება

(1) ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 60 დღით ადრე დამქირავებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, გამქირავებელი უფლებამოსილია დამქირავებელს წარუდგინოს ხელშეკრულების ახალი პირობები, ქვემოთ მოყვანილი წესის თანახმად:

(ა) ქირის ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით;
(ბ) ახალი საიჯარო ხელშეკრულება დაფუძნებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებზე.

მუხლი 11. ხელშეკრულების გაუქმება

მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ვადის გასვლის ან გაუქმების შემთხვევაში, დამქირავებელი აბრუნებს ქონებას და კისრულობს ვალდებულებას დააბრუნოს ქონება იმავე მდგომარეობაში, როგორშიც მიიღო იგი ამ ხელშეკრულების თანახმად.

თუ სარგებლობის პერიოდში დამქირავებელი გააუმჯობესებს ქონებას, ჩაატარებს სარემონტო სამუშაოებს, ან კეთილმოაწყობს მას სხვადასხვა აღჭურვილობებით, გააფართოვებს ან გაარემონტებს მას (გაუმჯობესება), დამქირავებელი უფლებამოსილია (1) შეინარჩუნოს და დაიტოვოს თავის საკუთრებაში მოწყობილობა, აღჭურვილობა, დანადგარები ან (2) გამქირავებელთან შეთანხმებით დატოვოს გაუმჯობესება, რისთვისაც მიეცემა შესაბამისი კომპენსაცია. ასეთ შემთხვევაში, კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება საბაზრო ფასის მიხედვით.

მუხლი 12. შეტყობინება და მიმოწერა

ყველა ურთიერთობანი, ანგარიშსწორება, შეთავაზებანი გამქირავებელსა და დამქირავებელს შორის განხორციელდება ამ მუხლში მითითებულ მისამართებზე. გამქირავებლის შემთხვევაში, დანართის 1 ნაწილში მოყვანილ მისამართზე, ხოლო დამქირავებლის შემთხვევაში, შემდეგ მისამართზე:

გოთუას ქ. 3 მტკვრის მარჯვენა სანაპირო
თბილისი, საქართველო
ტელეფონი: + 995 32 77 01 00
ფაქსი: + 995 32 77 01 06

დანართი 1

ნაწილი 1. **გამქირავებელი**

პირის დასახელება: შ.პ.ს. "[illegible]"

იურიდიული მისამართი [illegible] N263

ტელეფონი: 893314713

ფაქსი:

ბანკი: საქართველოს ბანკი

ანგარიშის ნომერი: 16998 6100

ბანკის კოდი: 220101502

ნაწილი 2. ქონების მონაცემები

მისამართი: [illegible] N263

ფართი: $20 მ^2$

დეტალები: ანტენების სახურავზე

ნაწილი 3. ქონების გამოყენების მიზანი

საბაზო სადგურის,საანტენო-საფიდერო და შესაბამისი მოწყობილობების მონტაჟი მობილური კავშირგაბმულობის განსახორციელებლად.

ნაწილი 4. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი დაწყების თარიღი

ხელშეკრულება ძალაში შედის საბაზო სადგურის დამონტაჟების მომენტიდან.

მოქმედების პერიოდი: 3 (სამი) წელი

დაწყების თარიღი: 01. 04. 09.

ნაწილი 5. ქირა

თანხა: 800 (რვაასი) აშშ დოლარის ექვ. ლარებში

(სიტყვიერად დ.ღ.გ.-ს გარეშე)

გამქირავებელი

[illegible]

დამქირავებელი

გენერალური დირექტორი
ოსმან თურანი

ფინანსური დირექტორი
ივანე მაჭავარიანი

შპს „ჯეოსელსა“ და შპს „ჯულის“ შორის გაფორმებული

2009 წლის 01 აპრილს გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების

ცვლილება

ქ. თბილისი, 01.04.2012 წელი

შპს „ჯული“, (გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი: 200199971) წარმოდგენილი მის დირექტორის ქეთევან წერეთელის სახით (პირადი № 01024014162) (შემდგომში „გამქირავებელი“) და შ.პ.ს. “ჯეოსელი”, (გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი: 203841940) წარმოდგენილი ნინო მაჭავარიანის სახით (პირადი № 01025015969), (შემდგომში „დამქირავებელი“) რომელიც მოქმედებს შპს „ჯეოსელის” გენერალური დირექტორის ოსმან თურანის მიერ მინიჭებული მინდობილობის საფუძველზე (შემდგომში „დამქირავებელი“)

1. შეეთანხმნენ მასზედ, რომ მხარეებს შორის 2009 წლის 01 აპრილს გაფორმებულ ქირავნობის ხელშეკრულებაში, მდებარე: ქალაქი თბილისი, ქუჩა ც. დადიანი, № 263, მიწის საკადასტრო: 01.12.11.037.023 (შემდგომში ქირავნობაში) შეიდეს შემდეგი სახის ცვლილება: 10.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით ხელშეკრულება გაგრძელდეს 2012 წლის 01 აპრილიდან 2015 წლის 01 აპრილამდე

2. ხელშეკრულების ყველა დანარჩენი მუხლი დარჩეს უცვლელი, ცვლილება შედგენილია სამი თანაბარი ურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელიც გადაეცემა მხარეებს და ერთი წარედგინება საჯარო რეესტრიის სარეგისტრაციო სამსახურს

3. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

”დამქირავებელი”
შ.პ.ს. „ჯეოსელი“

წარმომადგენელი
ნინო მაჭავარიანი

”გამქირავებელი”

დირექტორი
ქეთევან წერეთელის